სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი
0179 თბილისი, საქართველო
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

23 / აგვისტო / 2024 წ.

KA021789147732224

№ **5/48538**

სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 22.08.2024წ. № 188170 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი, ფართ(ებ)ის იჯარის უფლებით გაცემის შესახებ.

გაცნობებთ, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 19.08.2024წ. № 9494 წერილის გათვალისწინებით, არ არის წინააღმდეგი, აუქციონის წესით იჯარით გაიცეს თქვენს წერილში მითითებული ფართ(ებ)ი, იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ფართ(ებ)ი სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს კანონით დადგენილი წესით და იმ პირობით, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 (ორი) კვირის ვადაში გაუქმებული იქნება საიჯარო ხელშეკრულება, რაც უნდა წარმოადგენდეს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების აუცილებელ პირობას.

ამასთან, სარგებლობის საფასური უნდა განისაზღვროს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის №570 დადგენილებით დამტკიცებული წესის მოთხოვნების შესაბამისად.

ამ პირობათა დარღვევის (შეუსრულებლობის) შემთხვევაში, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დადებული იჯარის ხელშეკრულება განიხილება აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებულ გარიგებად.

საჯარო სექტორთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნუგზარი წამალაშვილი